არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და დისკრიმინაციული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ

სამოქალაქო პლატფორმა [redacted]SM A და [redacted] თანასწორობისთვის წარმომადგენელი ორგანიზაციები მივიჩნევთ, რომ ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის კუთხით მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. სახელმწიფო არღვევს სეკულარობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, ლახავს არადომინანტური რელიგიური ჯგუფების უფლებებს და ავლენს უთანასწორო დამოკიდებულებას განსხვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანების მიმართ.

ამ კუთხით, განსაკუთრებით საგანგაშოა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში მუსლიმი მოქალაქეების მიმართ გამოვლენილი რელიგიური შეუწყნარებლობა და

თანასწორუფლებიანობის დარღვევა; პანდემიის დროს ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკა რელიგიური გაერთიანებების მიერ დღესასწაულების აღნიშვნისას და ბოლო დროს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქების მხრიდან გამოვლენილი ანტისემიტური რიტორიკის უგულებელყოფა.

სოფელ ბუკნარში მუსლიმი მოქალაქეების დევნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში რამდენიმე კვირაა, რაც რელიგიურ ნიადაგზე ადგილობრივ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირებაა. ქრისტიანი მოსახლეობა მუსლიმების მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილ კერძო სახლში ლოცვას აპროტესტებს იმ არგუმენტით, რომ □□□ ქრისტიანული მიწაა A და აქ მეჩეთის ადგილი არ არის.

მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა ბოლო დღეების განმავლობაში. 12 იანვარს მომხდარი ძალადობის დროს რამდენიმე მუსლიმი პირი (მათ შორის, არასრულწლოვნები) დაშავდა. დაძაბული ვითარება იყო 13 იანვარსაც.

მუსლიმი თემის მიერ კერძო საკუთრებაში სალოცავის მოწყობა და ღვთისმსახურება კონსტიტუციით დაცული უფლებაა. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, შეასრულოს აღმსარებლობის თავისუფლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება და აღკვეთოს მუსლიმი მოსახლეობის ღვთისმსახურებისთვის ხელის შემშლელი ნებისმიერი ქმედება, ასევე - მიიღოს ყველა შესაძლო პრევენციული ზომა. სოფელ ბუკნარში განვითარებული მოვლენები არ არის მუსლიმების უფლებების შელახვის პირველი შემთხვევა. რელიგიური უმცირესობებისათვის საქართველოში რელიგიური ნიშნით დევნა, ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობა, რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და სისტემური პრობლემაა. 2012-დან 2016 წლის ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები მუსლიმების წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით ძალადობის და უფლებების დარღვევის რვა მასშტაბური შემთხვევა გამოვლინდა. აქედან შვიდ შემთხვევაში პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია, ზოგ საქმეზე კი გამოძიება ამ დრომდე უშედეგოდ გრძელდება.

გამოვლენილ რელიგიურ კონფლიქტებს მთავრობამ პრობლემური მანდატისა და კომპეტენციების მქონე უწყების - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაფუძნებით უპასუხა, რომელიც რელიგიის თავისუფლების საკითხებს, ადამიანის უფლებების ნაცვლად, მეტწილად უსაფთხოების პერსპექტივიდან ხედავს.

ის ფაქტი, რომ რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე განხორციელებულ არაერთ ძალადობრივ და დისკრიმინაციულ ქმედებას სახელმწიფოს მხრიდან არ მოჰყოლია

სათანადო რეაგირება, კიდევ უფრო ამძიმებს რელიგიური უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობას, საზოგადოებაში აჩენს დაუსჯელობის განცდას და ხელს უწყობს სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის დაპირისპირების გაღვივებას.

შობის დღესასწაულის აღნიშვნა

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვებიდან გამონაკლისი სახელმწიფომ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შობის დღესასწაულის აღსანიშნავად, 6 იანვრის ღამეს დაუშვა და არ გაითვალისწინა სხვა აღმსარებლობის მოქალაქეებისთვის რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის შესაძლებლობა. ვიცე-პრემიერის, მაია ცქიტიშვილის განცხადებით, თუკი განსხვავებული კონფესიის წარმომადგენლებს სურდათ შობის დღესასწაულზე ეკლესიებში მისვლა (25 დეკემბერს), რელიგიურ ორგანიზაციებს სახელმწიფო უწყებებისთვის უნდა მიეწოდებინათ „მრევლის სია“ და ისინი „უზრუნველყოფდნენ ერთჯერად საშვს ამ ადამიანებისთვის”.

ვიცე-პრემიერის განცხადებებს წინ უსწრებდა პრემიერ-მინისტრის 14 აპრილის განცხადება აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით. გიორგი გახარიას განმარტებით, საქართველო *“მართლმადიდებლური სახელმწიფოა”.*

ხელისუფლების ამგვარი განცხადებები მოწმობს, რომ იგი ღიად და მიზანმიმართულად ზღუდავს რელიგიის თავისუფლებას, უგულებელჰყოფს კანონის უზენაესობას, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობასა და სახელმწიფოსა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთგამიჯვნის კონსტიტუციურ პრინციპებს.

საეკლესიო ანტისემიტიზმი და ხელისუფლების რეაგირება

საპატრიარქოს და ხელისუფლებას დღემდე არ დაუგმიათ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების მხრიდან ბოლო დღეების განმავლობაში გამოვლენილი საეკლესიო ანტისემიტიზმი.

2020 წლის 20 დეკემბერს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა იოანე გამრეკელმა ბაგრატის ტაძარში ქადაგებისას ანტისემიტური განცხადებები გააკეთა. ქადაგება იმეორებს ებრაელების შესახებ გავრცელებულ საშიშ რელიგიურ სტერეოტიპს, რომლის თანახმადაც მთელი ებრაელი ერი, კოლექტიურადაა პასუხისმგებელი ქრისტეს ჯვარცმის გამო და ქრისტიანთა მდევნელად წარმოჩნდება, რაც საუკუნეების განმავლობაში, ინსტიტუციური ანტისემიტიზმის ერთ-ერთი ყველაზე მყარი საფუძველი იყო. ეკლესია ამ დრომდე არ აღიარებს მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის განცხადებების პრობლემურობას.

პარალელურად, სოციალურ ქსელებში არაერთი ანტისემიტური შინაარსის კომენტარი გაჩნდა, მათ შორის სხვა მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან (იხ. დეკანოზ ილია კარკაძის ქადაგება). არანაკლებ შემაშფოთებელი იყო ისრაელში საქართველოს ელჩის, ლაშა ჟვანიას განცხადება, რომელმაც მიტროპოლიტ იოანე გამრეკელს საჯაროდ მხარდაჭერა გამოუცხადა და ადამიანის უფლებათა დამცველები ცილისწამებაში დაადანაშაულა.

მიმდინარე მოვლენები კრიტიკულად შეაფასეს საქართველოს სახალხო დამცველმა, დიპლომატებმა, მათ შორის ისრაელის ელჩმა საქართველოში, რან გიდორმა, ებრაულმა ორგანიზაციებმა და პოლიტიკურმა ოპოზიციამ (ევროპული საქართველო).

ხელმომწერი ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას:

- დაიცვას ყველა მოქალაქის მიერ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით სარგებლობის ფუნდამენტური უფლება, რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნის, თანასწორუფლებიანობის პრინციპები; საშუალება მისცეს მოქალაქეებს, დაუბრკოლებლად ისარგებლონ რწმენისა და რელიგიის თავისუფლებით, მათი კონფესიური კუთვნილების მიუხედავად;
- 12 იანვარს სოფელ ბუკნარში მომხდარი ძალადობისა და რელიგიური დევნის შემთხვევებზე უზრუნველყოს ეფექტიანი გამოძიების ჩატარება და ამასთან მიიღოს ადეკვატური ზომები ძალადობის პრევენციის მიზნით;
- უზრუნველყოს სოფელ ბუკნარში მცხოვრები მუსლიმი თემის მიერ ღვთისმსახურების თავისუფლად და უსაფრთხოდ განხორციელება;
- შეიმუშავოს რელიგიური კონფლიქტის ტრანსფორმაციის გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური პროგრამების გამოყენებით რელიგიურ თემებს შორის მშვიდობიანი, თანასწორი და სოლიდარული თანაცხოვრების პირობებსა და გარანტიებს შექმნის;
- შეწყვიტოს რელიგიური გაერთიანებების მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება და მათ ავტონომიაში ჩარევა;
- მკაცრად შეაფასოს და დაგმოს ანტისემიტიზმი, ამასთანავე გაავრცელოს ტოლერანტობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, დისკრიმინაციის აკრძალვის მხარდამჭერი განცხადებები.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

მედიის განვითარების ფონდი (MDF)

თბილისი პრაიდი

დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი (IDSD)

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

უფლებები საქართველო

თანასწორობის მოძრაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

საფარი

ღია საზოგადოების ფონდი

ფოტო: batumelebi.netgazeti.ge